განმარტებითი ბარათი

„საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი საკრედიტო შეთანხმების შესახებ“ შესახებ

2018 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) შორის ხელი მოეწერა განზრახულობათა დეკლარაციას „გერმანიის და საფრანგეთის ფინანსური თანამშრომლობა საქართველოსთან“. აღნიშნული დეკლარაცია გულისხმობს, რომ საფრანგეთის განვითრების სააგენტო (AFD) და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) მზად არიან მხარი დაუჭირონ საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილ რეფორმებს (AFD - 60 მლნ ევრო და KfW - 60 მლნ ევრო). აღნიშნული თანხები წარმოადგენს ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხს, რომელიც პირდაპირ მიიმართება ბიუჯეტში. აღსანიშნავია, რომ AFD და KfW მზად არიან ითანამშრომლონ საქართველოსთან ენერგეტიკის სფეროში 4 წლიანი (2018-2021) პროგრამის ფარგლებში. 2018 წელს პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა: AFD 25 მილიონი ევრო და KFW - 49 მილიონი ევრო სესხების სახით.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის #2123 განკარგულების შესაბამისად, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელი მოეწერა საკრედიტო შეთანხმებას.

AFD-ს სესხის ფინანსური პირობებია:

- სესხის მოცულობა: 60 მილიონი ევრო;
- სესხის ხანგრძლივობა: 20 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 6 წელი);
- საპროცენტო განაკვეთი: ფიქსირებული (0.71%), ცვლადი (6 თვიან EURIBOR-ს + 0.6%);
- ადმინისტრირების გადასახდელი: 0.5% (ერთჯერადი გადასახდელი, ერიცხება სესხის მთლიან მოცულობას, სესხის თანხიდან გადახდა არ ხდება);
- ვალდებულების გადასახდელი: წლიური 0.5% (ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს).